№ 263

სამშაბათი, 13 დეკემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | | მან. კ. | თვე | | მან. კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | . . . | 10 — | 6 | . . . | 6 — |
| 11 | . . . | 9 50 | 5 | . . . | 5 50 |
| 10 | . . . | 8 75 | 4 | . . . | 4 75 |
| 9 | . . . | 8 — | 3 | . . . | 3 50 |
| 8 | . . . | 7 25 | 2 | . . . | 2 75 |
| 7 | . . . | 6 50 | 1 | . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877--1894

# ივერია

№ 263

სამშაბათი, 13 დეკემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



## „ივერია"

გამოვა 1895 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის" რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".


## ახალი ამბავი

—

*** კვირას ქვაშვეთის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის სულის მოსახსენებლად. მწირველად იყო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელმაც შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შესრულების დროს ჰგალობდნენ სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეები. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. აქვე იყვნენ ჩვენი ინგლისელი სტუმრები: ოლივერ ვარდროპი თავისს დედითა და დითურთ.

*** კავკასიის მთავრობის განსახილველად პეტერბურგიდგან პროექტი გამოუგზავნიათ, რომელიც სოფლებში სასწავლებლების დასაარსებლად საყოველთაო სავალდებულო ხარჯის გადახდევინებას შეეხება.

*** გუშინ ქალაქის მოურავმა დანიშნა სამარასკევო 16 დეკემბრისთვინ სხდომა იმ კომისიისა, რომელმაც უნდა შეადგინოს სასანიტარო სავალდებულო დადგენილების პროექტი. ამ სხდომაზედ უნდა დაესწრნენ სასანიტარო ექიმები და ათივე განყოფილების სასანიტარო მზრუნველი.

*** გუშინ გუდაურიდგან დეპეშით იუწყებოდნენ: ყინვა ცამეტ გრადუსამდეა. თოვს. კავკავის გზას ორასი მუშა ასუფთავებს ზვავებისა და თოვლისაგან. „მაიორშას" ზვავს ჩამოწოლის შიში აქვს. ფოსტა გადაიტანგადმოიტანეს. ზოგიერთი მგზავრი შიშისა გამო უკანვე დაბრუნდა ტფილისს ბათუმ-ნოვოროსისკზედ წასასვლელად.

*** 7 დეკემბერს, ბაქოში, ტაგიევის სახლებში თავი მოიკლა ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკოსმა კონსტანტინე მიხეილის ძე არლუთინსკიმ. განსვენებული სულ ახალგაზდა კაცი იყო. მიზეზი თავის მოკვლისა არავინ უწყის.

*** პეტერბურგიდგან საინტერესო ამბავს აუწყებენ გაზ. „ნოვ. ობოზ."-ეს. ტფილისის მემამულეთა მიერ შარშან წარდგენილი პროექტი „სამეურნეო კრედიტის საურთიეროთო საზოგადოებისა» მთავრობას უკვე შეუწყნარებია.

*** რადგანაც ამ უკანასკნელს დღეებში გავრცელდა სახლების გაქურდვა, და რადგანაც უმაღლესის მანიფესტის ძალით მრავალი ქურდი და ავაზაკი გამოუშვეს საპყრობილედგან, ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ყველა პოლიციის ბოქაულებს, კვირას, 11 დეკემბერს, ღამით უცბად დაათვალიერეთ ყველა სამიკიტნო, ყავახანა და სხვა ამ გვარი ალაგებიო. ამ განკარგულებისამებრ პოლიციამ კვირა ღამეს დაათვალიერა სხვა-და-სხვა მიყრუებული ალაგები და შეიპყრა 255 კაცი, რომელთაც პასპორტები არა ჰქონდათ და უსაქმოდ დაიარებოდნენ ქალაქში. ორმოც-და-ათი მათგანი გუშინ პოლიცმეისტერმა საპატიმროში გაგზავნა. ოსმალეთიდგან გამოქცეულნი-კი ოსმალეთის ელჩს წარუდგინა ოსმალეთში გასაგზავნად.

*** სოფ. დიმი (ქუთაისის მაზრა). აქ ძალიან ცუდი ამბები ხდება. საწყალს ხალხს ჰგლეჯენ და ყურადღებას-კი არავინ აქცევს; თუმცა იცის სოფელმა, ვინც არიან ბოროტ-მოქმედნი, მაგრამ შიშით ვერ ამხელენ.

*** გორი. 8 დეკემბერს, ტფილისის ოლქის დროებით განყოფილებამ, რომელიც თავ. ნ. ჩხეიძის მოკვლის და გაძარცვის საქმეს არჩევდა, შემდეგი განაჩენი დაადგინა. ბრალდებულთ: ალექსანდრე არდიშვილს, გედევან ამაშუკელს და ბესარიონ ლეჟავას აეხადოს ყოველგვარი უფლება და მაღნებში სამუშაოდ იქმნენ გაგზავნილნი. ალ. არდიშვილი და გედევან ამაშუკელი 12 წლით, ხოლო ბეს. ლეჟავა რვა წლით. ბრალდებულნი: ილია ხაჩიძე და ანტონ ფერაძე-კი უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილი და სასამართლომ განათავისუფლა.

*** სოფ. ქოდალა (სიღ. მაზრა) სოფ. ქოდალაში თხუთმეტის წლის სოსიკა რაქვიაშვილი მჯდარიყო თივაზედ და ხელში სჭეროდა ფიწალი (ორთითი) და პური, რომელსაც შეექცეოდა თურმე, ამ დროს ფიწალი ჩამოუვარდა ხელიდგან და თითონაც ძირს დაცურდა თივიდგან, უნდოდა ფიწალი აეღო, მაგრამ დაცურების დროს ფიწალი აყუდებულიყო თივაზე, და რომ ჩამოცურდა, საბრალო შიგ მუცელში შეერჭო ფიწალი და მუცელი გაუფატრა... წყალი მიაშველეს, მაგრამ გვიან-ღა იყო... არ გასულა ხუთი წამი, რომ სული დალია. საწყალს იმისს მამას, იმის მეტი შვილი არა ჰყავდა.

*** სოფ. ქარელი (ქართლი): კარგა ხანია, რაც სოფ. ქარელს ვიღაც ვაჟბატონები შემოეჩვივნენ და ამ ღამე აღარ არის მოსვენება: ზოგს ქათმებს ჰპარავენ, ზოგს ინდოურებს და ზოგს ღორებსაც. ამ თვის 4 ს ღამე ქარელის რკინის გზის სადგურის უფროსის საქათმესაც ეწვივნენ და ხელი საკმარისად მოითბეს. მაგალითად, ოც-და-თხუთმეტამდე ქათმები წაასხეს და რამდენიმე ინდოური: მეორე დღეს პოლიციამ კვალი მიიტანა და ოთხი ახალგაზდა ვაჟბატონი გაქანჩა; მალე ხიდისთავის ბოქაულიც მოვიდა, ოქმი დაუდგინა და სურამის სასამართლოში გაგზავნა.

## დამაკვირდი

—

სასტიკი აღზრდა ბოვშვისა ისევე იმაგრებს კეთილ ზნეობას, როგორც თოკი, რომელზედაც ჩამამრჩვალი ჰკიდია.

პიერმონტი

**

ბედნიერების დროს უფსკრულ-კი გვავიწყდება, ხოლო თუ უბედურება გვეწვია, ცრუ-მორწმუნეობაც-კი გვწამს.

**

სათნოებას მაქებარ-მადიდებელი და თაყვანის-მცემელი უფრო ბევრი ჰყავს, ვიდრე მიმბაძავი.

ბუასტი

## ახდილის ახდა გაგონილა?

(პასუხად ბ-ნს გ. წერეთელსა)

პასუხად ჩვენის გამოწვევისა სამედიატორო სამართალში ბ-ნი გიორგი წერეთელი სწერს თავისს სურათებიან გაზეთში: „ჯერ რიდე აიხადეთ, თქვენი ფსევდონიმი გამოამჟღავნეთ და მერმე გაგცემთ პასუხსაო". საწყალი ხავსი! რამდენჯერ უნდა მოეჭიდოთ მას წყალწაღებულივით. რიდეო? სად არის აქ რიდე? განა იაკობ სიმონიძე ფსევდონიმია? ჩვენმა მოკამათემ დღესავით ცხადად იცის, რომ პირველი სიტყვა არის ნამდვილი ჩემი სახელი და მეორე მამიჩემისა. ესევე კარგად იცის ყველა ქართველმა, რომელსაც ქართულის ლიტერატურისათვის ზურგი არა აქვს შექცეული. ჩვენი გულწრფელი მოწინააღმდეგე განაგრძობს: სიმონიძეს ფსევდონიმები ბევრია. არის მსახიობი სიმონიძე (სვიმონიძე უნდოდა), არის აგრეთვე ფსევდონიმი სიმონიძე, რომელიც ისტორიკოსობას ჩემობს, არის ფსევდონიმი სიმონიძე, რომელიც გრამატიკოსობას ჩემობს, ბოლოს არის სიმონიძე პედაგოგიცა. ხედავთ რავდენი სიმონიძე გვყოლია! ნამდვილად-კი ერთის მეტი ჩვენს ლიტერატურაში არ მოიპოება. ეს ერთი სიმონიძე ხანდახან ბეჭდავს საისტორიო მოთხრობებს, ანუ წერილებს, თუმცა ფაფხურა ისტორიკოსის პრეტენზიას სრულიად მოშორებულია, სწერს საგრამატიკო სტატიებსაცა, თუმცა გრამატიკოსის ტიტულს არ ჩემობს, და შეძლებისამებრ პედაგოგობს კიდეცა. ეს ყველა ისევე კარგად უწყის ბ-ნმა გიორგიმ, როგორც ვიცი მე თვითონ. იცის აგრეთვე ისა, რომ ეს იაკობ სიმონიძე თავისს ფსევდონიმებად ხმარობს: ნ. კალმახელიძესა, სიმ—ძესა, ვარიანელსა, ხუმარასა, მარუშიძესა (ეს უკანასკნელი ფსევდონიმი ამ უკანასკნელს დროს სხვამაც იხმარა). აი ამ ფსევდონიმების შესახებ რომ ეთქვა—რიდე აიხადეო,

## ფელეტონი

—

**

ის იყო შავით შემოსილი, ცრემლისა მღვრელი,
მაგრამ თვალები ვარსკვლავივით მას უნათებდა;
და ძაძათაგან გამომკრთალი ღაწვთა ელფერი
მზისა შარავანდს შეუპოვრად სხივს უერთებდა.

—

თვალნი მიეპყრო საფლავთაკენ მას, წმიდა ასულს,
გულზედ ხელები დაეკრიბა, ვით მოამაკვდავი,
შემცოდესავით თავ-დახრილი იდგა მდუმარედ,
ცრემლი ცრემლზედა ესკვნებოდა გულის საკლავი.

—

მთანი და ბორცვნი გულ-ჩათხრობით გადმოჰყურებდნენ,
ტყეც ყურს უგდებდა ტურფის კვნესას, სულ-განაბული;
დილის ნიავიც არ იძვროდა, სდუმდა ბუნება,
ქალწულის ხილვით მოხიბლული, მინაზებული!...

—

მეც მყის მომხიბლა მისმა ნახვამ, მისმა ცრემლებმა,
თავბრუ დამასხა, დამაჩლუნგა და გამაჩერა,
ანაზდად მტყორცნა ჭაბუკს მკერდსა ტრფობის ისარი.
გული აფეთქა და ძარღვები სულ ამიძგერა..

—

ვიდეგ უძრავად, როს ქალწულის მესმა ნაზი ხმა:
„მომშორდი ყრმაო, თორემ დევი გაილვიძებსო,
ეს საფლავები ჩემ ტრფიალთა გმირებ არის
და შენც მათსავით ულმობელად დაგამიწებსო"!..

—

—არა მნათობო,—ვუპასუხე რიდით და კრძალვით,—
ვერავის შიში მე აქედგან ვერ გამაბრუნებს,
დაე დავმიწდე არ ვინაღვლი, რადგან ჩემს საფლავს
შენი თვალები სიბრილულის ცრემლს დააპკურებს...

განდეგილი

## დედა

(თარგმანი)

საკმაოდ მოზრდილს ოთახში სიჩუმე ჰსუფევს. მამა სიფრთხილით ჰფურცლავს წიგნს, სიფრთხილითვე ჰმუშაობს ნემსითა და მაკრატლით ახალგაზდა, ასე ჩვიდმეტის წლის ლამაზი გოგონა; ცქრიალა, ალის ფრად მოლაჟღაჟე და წაბლის ფერ ხუჭუჭთმიანი ბიჭიც სიფრთხილით, ხმაურობა არ ავსტეხოო, ეტანება ხან რვეულსა და ხან სახაზავსა.

ლაჟვარდის ფერ ფარდას უკან სწევს მიმქრალი, გაძვალ-ტყავებული ავადმყოფი. დიდრონი თვალები ჩასცვივია, ძალზედ გამხდარი ხელები უღონოდ უწყვია ბალიშზედ.

ის დედაა.

ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველად გაეღვიძა ღრმა, დამამშვიდებელის ძილისაგან, პირველად მოავლო იქაურობას თვალი... თავისებურად ალარაფერი ეჩვენა.

ისე აცქერდებოდა იქაურობას, თითქოს კითხულობდა: „ეს რას ნიშნავსო?.."

სასტუმრო ოთახში დააწვინეს, სასტუმროში, რომელიც იმისთვის ყოველთვის რაღაცა წმიდათა-წმიდას შეადგენდა. იქვე, მახლობლად, მოთავსებული იყო მამაც თავისს შვილებით.

ფარდის პატარა ჭუჭრუტანიდგან კარგადა ჰხედავდა ოთახის მდგომარეობას.

ოთახი სრულიად გადაესხვაფერებინათ,—საკმაო სიფართოვე და სიფაქიზე ეტყობოდა. სჩანდა, რომ ყოველივე ეს მელანიას უნარი უნდა ყოფილიყო; შესაძლებელიც არის, რადგანაც ის კარგა ხანია, რაც ავად იყო.

შუბლზედ ოფლის წინწკლები ნამის მსგავსად მოასხდა.

ღმერთო, რა დღეში იქნება სახლი, როცა მას უკეთესობა დაეტყობა!..

უნდოდა დაეძახნა, ჰსურდა შაეტყობინებინა, რომ გავიღვიძეო, მაგრამ უცბად გონს მოვიდა. იფიქრა, ვნახავ რას აკეთებენ იქ მყოფნი უჩემოდაო...

ლამაზად განათებულს ოთახში მხიარულება და მყუდროება ჰსუფევდა, ჭერში ჩამოკიდებული ლამპარი ანა-

ამას აზრი ექმნებოდა. მაგრამ როცა იგი ითხოვს: იაკობ სიმონიძე, რიდე აიხადეო, პირბადე მოიშორეო, ეს იმასა ჰგავს, რომ სთქვას: გაღებული კარები გააღე, ცხადი განაცხადე, ახდილი პირი აიხადეო, გიორგი წერეთელი გააგიორგ-წერეთელეო. ეს კიდევ ცოტაა. არამც თუ ეს რიდის ახდა უაზრო მოთხოვნილებაა, არამედ ისიც-კი სიმართლეს იქმნებოდა მოკლებული, რომ ბ-ნს წერეთელს მოეთხოვნა—თქვენი სახელწოდება დაათავეთო. იქმნებოდა იმიტომ, რომ მან არა ერთხელ დაამთავრა და გაათავა ეს სახელ-წოდება, არა ერთხელ გამოამჟღავნა, რომ იაკობ სიმონიძე ის პედაგოგია, რომელმაც „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, „კონა“ „იავნანამ რა ჰქმნა“ და სხვა საყმაწვილო წიგნები შეადგინაო. დავამთავრე მე თვითონაც, როდესაც ინსინუაცია ნინოშვილის თხუზულებების დაბეჭდვის გამო, მომართული ჩემდამი ბ-ნი წერეთლის მიერ, გავამტყუნე მოკლედ სიმონიძის სახელით და ვრცლად გოგებაშვილის სახელით. დაამთავრა აგრეთვე ჩვენმა სასიქადულო პოეტმა აკაკიმ, როდესაც მან თავისს შენიშვნაში, ჩემდამი მომართულში, სიმონიძე იქით გადსდო და პირდაპირ ჩემი გვარი დაასახელა.

გათავებულს რაღა გათავება ეჭირება, გამომჟღავნებულს და დასრულებულს რაღა გამომჟღავნება და დასრულება უნდა?

მართებულს საქციელს რომ დაჩვეული იყოს ბ-ნი წერეთელი, იგი მიპასუხებდა: სრულს თანხმობას ვაცხადებ შესახებ სამედიატორო სამართლისა; იმედი გვაქვს, რომ დაადგენს სიმონიძე—განსახილველს მუხლებსაც და თავისს სრულს სახელწოდებასაც მოაწერს ქვეშ. მაგრამ რადგანაც მართებულობაზედ მწყრალად გახლავთ ჩვენი მოკამათე და სამედიტორო სამართლისა ისევე ეშინიან, როგორც ერთს სულიერს საკმლისა, ამის გამო მიმართა ხრიკსა, სიცრუესა, უვიკობა გადააბრალა, და იმდენი ვერ მოისაზრა, რომ ეს ჩემთვის გამოსადეგია და მისთვის-კი მავნებელი.

ამ სიცრუეს ზედ დაურთო ცილის წამებაცა: „სიმონიძეო, ამბობს ბ-ნი წერეთელი, ჩვენს მკითხველს საზოგადოებას ათახსირებს რაღაც პირადი ანგარიშების წერილებით.“ როგორ? ვინც „ვაღიაროს“ და „ჰკვიანს“ ესარჩლება, ის პირადი ინტერესით ხელმძღვანელობს და ვინც აღვიაროს და ჰკუიერსა რაცხს ერთად-ერთ კანონიერ ფორმად, ის კი ქვეყნის სიკეთის მონად უნდა ითვლებოდეს? თუ ბ-ნი წერეთელი სიმონიძეს დაუძახებს დონბაზილიოს, ყოვლად უსაფუძვლოდ, ეს ქვეყნის სამსახურია, და როცა სიმონიძე უტყუარი საბუთებით ამხელს მას, რომ მან თავისი დონბაზილობა დაამტკიცა, სხვათა შორის იმითი, რომ წერილობითი დონოსი მისცა „გუთნიდედაზედ“, რათა სუბსიდია მიეღო, ეს-კი გათახსირებაა საზოგადოებისა სიმონიძის მხრივ! რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი არ გადაიხარხარებს ამ ლოგიკაზედ.

საკვირველია, რომ ამისთანა სამარცხვინო ლოგიკით სჯის არა მარტუ ფაფხურა, არამედ მისი პროვინციალური მობანეებიცა. მაგრამ იქმნება სრულიად მართალია ის ხმა, რომ ეს მობანეები მისტიფიკაციის ნაყოფნი არიან და წარმოადგენენ იმავე ფაფხურას, სხვა-და-სხვა ქურქში გახვეულსა? აი სად არის საჭირო რიდეს ახდა და სრული სახელ გვარის დასახელება. თუ პირბადე სძულს ჩვენს რედაქტორსა, ახადოს იგი ამ ვაჟბატონებსა და გვაცნობოს, ვინ არიან, მაგალითად, ვარდენ და სიკო მუხიანელი და სხვა მობანენი? წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველს პსევდონიმიანს მობანის ნაწერს საზოგადოება ჩასთვლის თვით რედაქტორის ნაქნარად, როგორც აქამომდე სთვლი და და სთვლის. რიდე, რიდე ახადეთ და აიხადეთ, ბ-ნო გიორგი!

ბრალდებითი ოქმი, სამედიატორო სამართლისათვის შედგენილი, ამ ცოტას ხანში მოგერთმევათ „ივერიის“ ფურცლების შუამავლობით ჩემი სრული სახელწოდებით.

იაკობ სიმონიძე

## კენჭით, თუ ხმის უმეტესობით?

(მომრიგებელ შუამავალთა და მაზრის უფროსთა საყურადღებოდ).

ქართლის სოფლებში ბევრგან დავსწრებივარ არჩევანებს, სოფლის ყრილობისაგან საზოგადო საქმის გადაწყვეტას და ერთი სამწუხარო მოვლენა შემინიშნავს, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს დაქვეითებულს ცხოვრებაში. ვხედავ, ყრილობის, ანუ არჩევნების წინად ყოველი წევრი სოფლისა მზაა არ ამოირჩიოს მამასახლისობის მსურველი «წურბელა სოფლის ჭამია», რადგან ადრევე იცნობს ყველა, რა ბიჭიც ბრძანდება, ძალად დაბრმავებულთა გარდა, რომლებსაც მისი მასპინძლობა ყელში ამოსდით, თვალებზედ ბისტი გადაჰკვრიათ და ურცხვად გაიძახიან მაზრის უფროსისა თუ ბოქაულის წინ: „კარგია სოფლისთვის, მაგას არავინ არა სჯობიანო!“.. სოფელს უნდოდა „ალალმართალი მხარე“ ამოერჩია, და სამიოდ უკუღმართის კაცის წყალობით, რომლებიც მეტსა ჰყვირიან სხვებზედ, მამასახლისობა „წურბელა—სოფლის ჭამიასა“ რჩება.

ასე და ამ გვარად „ალალ-მართალი მხარე“ ყოველთვის დამარცხებული რჩება და დაძმარებული ბრუნდება სახლში. ამ გვარად ხდება მარადის და ამ შემთხვევას, თუ არა სოფლის ცხოვრებასთან მუდამ ახლო მდგომი კაცი, სხვა ვერავინ ამჩნევს. რა გული უნდა ჰქონდესთ სოფლის პატიოსან კაცთ ყრილობისა, როცა რაიმე ეკონომიურის, თუ სხვა რამ მიზეზების წყალობით იგი სინიდისის წინააღმდეგ ჰმოქმედობს. დაიძახეს მაგალითად: „გინდათ მძარცველი მამასახლისადაო?“ პირქუში, დაქრთამული „ავყიეები“ თუ დაიყვირებენ „გვინდაო“, იმან რაღა ჰქნას?.. მძარცველს ისე ძლიერ აქვს გადგმული ფესვები, რომ იმის მიწაში ყანა აქვს, რაღას გამოიტანს, ან მძარცველს აქვს იმისი ვენახი გირაოდ, ხომ ცარიელზედ დასვა და გაუნადგურა მამული, რომ „ლიჭტი“ გამოიტანოს. აი, ამისთვის ხალხს, მათრახით და ჩაფრებით აგროვებინებს ბოქაული და რაზმივით არტყია ამოდენა ხალხს, რომ არსაით გაექცეს, ხელი კი მოაწერონ და მერე თავში იცენ. არა ერთხელ და ორჯელ მითქვამს: „ხალხნო, სირცხვილი არ არის, დღეს მამასახლისის არჩევნებია და თქვენ-კი მათრახით გაგროებენ, თქვენ საქმეზედ სხვა სწუხს და თქვენ-კი ფეხებზედაც არა გკიდიათ?!..

— მამა ღვთისა გაუწყრეს მაგ მძარცველს, ამბობს სოფელი: ვიცით, თავს ეგ გაიტანს, მაგის ხალხი გადავა ერთ ადგილას და ჩვენც მოდი და ნუ გადავყვებით, მერე უყურე მაგის სიმტრეს!..

კიდევ: ვთქვათ, მედუქნე ოსეფას უნდა თავისის ამხანაგის გასპარათი მეორე და მესამე დუქანი გააღოს. ამისათვის საჭიროა სოფლის თანხმობის განაჩენი. აგერა სოფელი შეიყარა კიდეც, აჭყვავდა, მეზობელი მეზობელს გადაეკიდა „სიტყვის გადაბრუნებისათვის“ და მედუქნე ოსეფამ-კი ისევ გაიმარჯვა, მეორე დუქანიც გააღო და თარეშობა დაიწყო. მე ახალი მებატონე ვარ ამ სოფლისაო, იძახის გუშინდელი მესაცრესძე და დღეს-კი იოსიფ ამბარცუმიჩ, რომელსაც „კნიაზი“ შაქროები ყავასა და შოკოლადზედ ჰპატიჟობენ.

მიზეზი სოფლის საქმის ასე უკუღმართად წარმოებისა მრავალია, მაგრამ მათ შორის ერთი-კი არა ნაკლებ უმნიშვნელოა ყველა სხვებზედ: ეს გახლავთ, ბატონებო, რიგი და წესი არჩევნების ხმის უმეტესობით საჯაროდ, რის გამოც ადვილია პატრონების ყოყმანი და ბოლოს ბოროტებისკენ გადახრა. ჩემის ფიქრით, ეს წესი უნდა მოისპოს, წამალი უნდა დავადვათ რამე ამ გარემოებას, ვეცადოთ რომ სოფლად, ხმის უმეტესობით კი არა, როგორც აქამდე ყვირილითა სწყდებოდა საქმენი, არამედ კენჭის ყრით იყოს. აბა მაშინა ვნახოთ, შემცირდება თუ არა უხეირო მოხელეები სოფლად, გამრავლდება თუ არა მჭმელ-მხვრელი დუქნები და დაიჩაგრება თუ არა „ალალმართალი მხარე“. იმედი მაქვს, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

მზე-ჭაბუკი

## კორესპონდენცია

**ს. მეჯვრისხევი.** 3 დეკემბერი. აგერ დადგა ქრისტიშობისთვე და ჯერ ზამთარს თავი არ უჩენია. ერთის მხრივ სასიხარულოდ რჩებათ ეს გლეხებს და საზამთრო შეშას რაც შეიძლება, ბლომად ეზიდებიან მდ. მეჯუდის ხეობიდგან. ასეთს ზამთრის გულ-კეთილობას სწორედ დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხებისათვის ზემოხსენებულ სარგებლობის მხრივ, მაგრამ რაა?.. სწორედ ინკვიზიციის ხასიათი სძევს ამ შეშის გამოტანას. საცოდავს საქონელს, რომელსაც ბუნებით გაკვლეულს მეჯუთის რიყნარზედ სიარული წელსა სწყვეტს და ფეხებს ამტვრევს, რადგანაც ამ გზის შეკეთებისათვის ამ ხმელეთის პირზედ არავინ ჰზრუნავს, არ იბრალებს აღარც მისი უციცი პატრონი გლეხი, და რის ვაი ვაგლახით და ცეცხლის კიდებით უნდა გამოაცილონ სამშვიდობოსა... რომ ვსთქვათ, მეტი ტვირთი იქმნება გლეხებისათვის ამ გზაზედ დაბანდება და მისი გაკეთებაო, ესეც არ ითქმის; რადგანაც უტყეო მთის პირ სოფლებს ერთად ერთ სახსრად ეს ხეობა აქვთ, და იმავ დროს-კი ასე მტრულად ეპრყრობიან თავიანთს თავსაცა და საქონელზედ ხომ აღარა ითქმის-რა; მაგრამ ვინ არის, რომ ამ საქმეს უჭირისუფლოს?..

მეჯვრისხევს ეხლა საქონლის ჭირიც შემოეპარა და, რასაკვირველია, დიდს ზარალს მისცემს ასეთს დიდს სოფელს, თუ პატრონობა და მზრუნველობა არავინ აღმოუჩინა.

აქეთ ცივი ყინვებია და საშიშია შემოდგომის ნათესი არ წაახდინოს.

ორიოდე სიტყვა თვით მეჯვრისხევის საზოგადოებაზედაც. მთელს ქართლში სულ სამი სოფელი არ გამოიძებნება მეჯვრისხევისთანა ბლომა მცხოვრებიანი და დიდ საზოგადოებიანი. აქ სცხოვრობს რამდენიმე კომლი თავადიშვილნი, ერისთავნი, რამდენიმე გვაროვნობა აზნაურნი და სამღვდელოებანი; ერთის სიტყვით, კარგი და საპატიო ადგილი უჭირავს მეჯვრისხევს ქართლში. აქვეა მუდამ დღე გორში მიმავალი დილიჟანი, რომელიც არ აკლებს საზოგადოებას „ჟურნალ-გაზეთობას“, ვინც-კი იწერს; აქვე სკოლა, რომელსაც აგერ ოცი წელიწადი უსრულდება მის არსებობიდამ დღემდის... არიან კიდეც შეგნებულნი ინტელიგენტნი, რომელთაც შეუძლიათ სამაგალითო თითით საჩვენებელ სოფლად გარდაქმნან მეჯვრისხევი, მაგრამ სამწუხაროდ დღეს ვერასა ვხედავთ აქ...

რა არის ნეტა მიზეზი გულ-ციობისა? ნუთუ ისევ ჩვენი ქართული უთაურობა?... არა მგონია! ხშირად გვსმენია მეჯვრისხევის შესახებ ბევრი რამ, იმედიც ბევრჯელ აღუძრავთ სხვის გულში, როგორც წარმოდგენების მართვა, აფთიაქის დაარსება მეჯვრისხევში, ლაპარაკი სამკითხველოს დაარსების შესახებ და სხ., მაგრამ ყველა ეს დღემდის ქარზე გაფანტულ სიტყვებსა ჰგავს. ერთი ამ ზემოხსენებულ საკეთილო საქმეთაგანი კიდეც განხორციელდა. ბ-ნმა წერეთელმა დააარსა აქ აფთიაქი, მაგრამ ძალი-

---

თებდა და არა პატარა სტოლზედ დასადგმელი...

მამა არხეინად მოთავსებულიყო დივნის ბოლოზედ. კურტიც ჩუმად იჯდა გარშემო რვეულებ შემოყრილი და ამზადებდა გაკვეთილს დედის გაუკიცხავადა და დაუტუქსავად; მელანიას წინ ეწყო რამდენიმე დარღვეული წინდა. გულ-დაჯებითა ჰქსოვდა და იმისი ტუჩები საუცხოვოდ შეეკუმშა ძალ-დატანებულს ღიმილს. „ის იღიმებაო“, ჰფიქრობდა დედა: და მე-კი აქ მისუსტებული, ავადმყოფი უნდა ვიწვე...

აი ეხლა-კი თითქო განგებ, იმის ყურებამდის მოაღწია ნაზმა, ცოტა ძალდატანებულმა, მაგრამ მაინცა და მაინც საამო ხმამ თავისს ქალისამ.

— აჰა, აი, მამილო, სულ მზად არის, ახლა ჩვენზედაც ვიფიქროთ, დროა სუფრის გაშლისა.

მელანიამ დაიწყო სტოლის მახლობლად ფუსფუსი, წყნარად აწყობდა თეფშებსა და ჭიქებს, პურს სჭრიდა და თითო-თითო ნაჭერს უწყობდა მამასა და კურტს თეფშებზედ, და შემდეგ, მორცხვის ღიმილით, დიდი კათხაც შემოიტანა...

— ეჰე... სიამოვნებითა და ხელების ფშვნეტით ამბობდა მამა: ეგ ხომ ჩემი საყვარელი იტალიანური სალათაა, რომელიც დედაშენს ჩემთვის ამ ათის წლის განმავლობაში არ გაუკეთებია; სულ-კი მარწმუნებდა, რომ ვერ ვიცლიო. იქნება ასეც იყო, ღონე აღარ შესწევდა... მერე რა კარგად არის შეზავებული... აი ეს მომწონს, ჩემო საყვარელო გოგონა, სულ სხვა რიგად არის გაკეთებული, ვიდრე...

მაგრამ უცბად შესწყვიტა ხმა, მოულოდნელად შემკრთალმა გაიხედა შორს, მეორე მხარეს, სადაც სრული დუმილი ჰსუფევდა. იგი არ ელოდდა, რომ იმას მისჩერებოდა ცეცხლის მფრქვევი თვალები ავადმყოფისა, რომლის გახურებულმა, გამშრალმა ტუჩებმა ძლივს-ძლიობით მოახერხა ლუღლუღით დამთავრება ქმრის სიტყვებისა: „ვიდრე დედის დროს...“

სუფრაზედ მხიარულად დაიწყეს ჭამა. ყველანი მადიანად შეექცეოდნენ. ეტყობოდათ, სასურველი საჭმელი რიგიანად იყო მომზადებული.

ავადმყოფი-კი მოთმინებიდგან გამოდიოდა. თითქმის ერთის საათის განმავლობაში მარტო სამნი ისხდნენ სუფრაზედ, იცინოდნენ, ლაზლანდარაობდნენ. აღრე-კი ხშირად სადილის ჭამას თითქმის საათის ნათხალსაც არ მოუნდებოდნენ.

„დიაღ, როდესაც დედა აღარა ჰყავთ“.

რვა საათმა დაჰკრა. მელანია ყველაზედ წინ წამოხტა. არ გაუვლია ხუთს წამს, რომ სტოლზედ აბრეშუმის სუფრაც გადაშალეს. კურტმა მოარბენინა თავისი სახატავები და პატარა ყუთი სამხატვრო წამლებისა; მელანიაც მოუჯდა სტოლს თავისის საქსოვით, მამამ-კი ჯერ ერთი გაიზმორა სიამოვნებით, შემდეგ ადგა და ჩუმად, ფეხის ფჩხილებზედ, გამოვიდა ოთახიდგან.

ავადმყოფი სმენად იყო გარდაქცეული.

— დედას ჯერ კიდევ არა სძინავს, ჩურჩულებდა მელანია: ექიმი იმ აზრისაა რომ ორის, სამის კვირის განმავლობაში შეიძლება სრულიად განთავისუფლდეს.

მაგრამ ამავე დროს გაუგებარი ამოხვრა გაისმა მელანიას სიტყვების შემდეგ.

— ოჰ, მელო, რა იქნება, რომ პატარა ხანგრძლივი იყოს ეს ჩვენი ბედნიერება... კიდევ ცუდად დაგვიბრუნდება საქმე. ისევ დაგვიწყებს ლანძღვას და ტუქსვასა, კვლავ მთელი დღე ისე გატანტალებს, როგორც ძაღლს.. ხელახლად გიბძანებენ, რომ ფეხი არ მოიცვალო და იჯდე იმ უბედურს უკანა ოთახში. შენს ყვავილებს კარში გადაჰყრიან, მამაჩვენს ნება აღარ ექნება დივანზედ ჯდომისა და ჩვენდა გასაგონად წიგნის კითხვისა... ოჰ, მელო, მე-კი მინდოდა, რომ კიდევ ხანგრძლივ, ხანგრძლივ ყოფილიყო ისე, როგორც ეხლა ჩვენა ვართ... იჰ, რა კარგადა ვართ ეხლა...

— რას ამბობ, კურტ! გააჩუმა შემკრთალმა დამ: დედა გაიგონებს! იმას ხომ რაც უნდა იყოს, კეთილი უნდა ჩვენთვის...

ყმაწვილის სახეზედ რაღაცა ეჭვი გამოიხატა.

— გამიგონე, მელო, გამოტყდი, რომ ჩვენ ასე კარგად არას დროს არა ვყოფილვართ. მარტო ის გაიხსენე, რომ განა დედასთან...

— კურტ, კურტ, ღვთისგულისათვის გაჩუმდი! წასჩურჩულა კიდევ მელანიამ: მაგითი ღმერთსა სცოდავ.

— არა, მელო, ცოდვა რად იქნება სიმართლის თქმა... ჰო, დედა ჩვენზედ ვლაპარაკობ, რაო... მე ის, რასაკვირველია, მიყვარს, და უფრო ათასჯერ შევიყვარებდი, რომ ისიც ისეთი კეთილი ყოფილიყო, როგორც

ან მოკლე დღისა გამოდგა და წერეთელი იძულებული იყო აფთიაქი ისევ გამოეწირა მეჯვრისხევისათვის. ყოველ წლივ იმართება აქ ზაფხულობით წარმოდგენები, და იმის შემოსავლი სამკითხველოსათვის ინახება, მაგრამ გარწმუნებთ, ამასაც ბევრი მტერი ჰყავს, რომლებიც უფრო რაღაცა კერძო ინტერესებით არიან გამსჭვალულნი ურთიერთთა შორის და საზოგადო ინტერესს ამსხვერპლებენ. დღეს 140 მან. აქვს მეჯვრისხევს შეკრებილი ამ საკეთილო საქმისათვის და მალე მშვენიერი სამკითხველოც ექნებოდა, ყველა რომ ერთნაირის გულ-დადებით ეკიდებოდეს ამ საქმეს, მაგრამ არა...

მეჯუდელი

## თეატრის მატიანე

—

„ვაის გავეყარე ვუის შევეყარე“, კომედია ვ. გუნიასი.

„ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, კომედ. 2 მოქმედ. რ. ერისთავისა.

კვირას ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, მეორე წარმოდგენა გამართა საარტისტო საზოგადოების სადგომში. წარმოადგინეს: კომედიები „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ და „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა და ჩვენმა არტისტებმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს საზოგადოებას, რომ ამათ კომედიების წარმოდგენა უფრო ეხერხებათ. და არც საკვირველია, რადგანაც სამხრეთის შვილნი, უფრო ითვისებენ კომიკურ როლებს და სწორედ საფრანგეთის არტისტებსავით ცოცხლათ და მკვირცხლად ასრულებენ. მაგალითად, ამ წარმოდგენამ ისეთის ანსამბლით ჩაიარა, რომ სწორედ ესიამოვნებოდა კაცს. ყველანი მწყობრად თამაშობდნენ და არც ერთი არტისტი არ უშლიდა, მეორეს. დამსწრე საზოგადოებამ ძალიან ისიამოვნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოება, სამწუხაროდ, ნაკლებად დაესწრო და ეს, ჩვენის აზრით, ამითი აიხსნება, რომ ქართველი საზოგადოება არ არის შეჩვეული საარტისტო საზოგადოების სადგომში სიარულს. მაგრამ მგონი საჩოთირო არა იყოს-რა, რადგანაც ფასები ისევ ისეთია, როგორიც იყო ხოლმე სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში და, მაშასადამე, რაღა უნდა უშლიდეს ხელს ჩვენს საზოგადოებას, რომ იაროს ხოლმე ამ დარბაზში და მით ისიამოვნოს იმ ხელოვნურის წარმოდგენით, როგორიც იყო, მაგალითად, გუშინ-წინ.

მესამე წარმოდგენა ამხანაგობისა ისევ იმ დარბაზშია დანიშნული კვირას 18 დეკემბერს, და იმედი გვაქვს საზოგადოება გულ-გრილობას არ გამოიჩენს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ “Рус. Обоз.-ის“ ნოემბრის №-ში პოლონეთის შესახებ საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. პოლონეთი თავისის ისტორიული არსებობის დროს უფრო დასავლეთს ემსახურებოდა, სლავიანების წინაღმდეგ. ამ სამსახურს შედეგად პრუსიის და ავსტრიის აღორძინება მოჰყვა. ეხლა, როდესაც გერმანელები იმის გარჩევაში არიან, როდის უნდა მოხდეს ჩვენი და სლავიანების ბრძოლაო, ეხლა კვლავ იგონებენ პოლონელთა სამსახური და სთხოვენ, შემდეგშიაც შეელოს დაჰპირდნენ. ამ დაპირების ნაცვლად პოლონელთ აღმოსავლეთს ჰპირდებიან ე. ი. რუსეთსა, რასაკვირველია ამასთანავე პირობას უდობენ, რომ პოლონელებმა სამუდამოდ უარი უნდა განაცხადონ თავიანთ დასავლეთ საზღვრებზედ, რომელიც ეხლა პრუსიას უჭირავსო. წინადაო, ამბობს გერმანელი მწერალი, რომელმაც გამოიწვია „Рус. Обоз.“ წერილი, პოლონელთა საქმე იმისთანა საგანი იყოვო, რომლის შესახებაც რუსეთი და პრუსია ერთმანერთს ეთანხმებოდნენო; ეხლა-კი პოლონელთა მონაწილეობამ შეიძლება ის მოიტანოს, რომ დასავლეთი დასძლევს აღმოსავლეთსაო. თუ დასავლეთმა სძლიაო, ამბობს იგივე მწერალი, —

ეს პოლონეთის გამარჯვება იქნება და ამ შემთხვევაში პოლონელებს იმოდენა მოედანი გაეშლებათ აღმოსავლეთისკენ, რომ დასავლეთი საზღვრების დაბრუნება მეტი იქნება... მით უმეტეს, რომ ეს იმათ ააცდენს იმ სახელმწიფოსთან შეტაკებას, რომელიც იმათი ერთად-ერთი იმედია. გერმანიზმის და პოლონიზმის აზრები შეთანხმებულიაო.

ამის გამო აი რას ამბობს ბ-ნი ფელკვიხი „Рус. Обозр.“-ში: კარგი, თუ დასავლეთმა გაიმარჯვა, მაშინ პოლონელები აღმოსავლეთში იქნებიან დაკმაყოფილებულნი, მაგრამ თუ აღმოსავლეთმა გაიმარჯვა — ეს ხომ პოლონეთის დაღუპვა იქნებაო.

**

რუსეთსა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის ჩამოსაგდებ ურთიერთობის შესახებ გაზეთ „Times“-ის ერთი კორესპონდენტი სწერს, რომ ამ სახელმწიფო დამეგობრებას სამი რამ უშლის ხელსაო: საფრანგეთისა და ინგლისისას — საქმე ეგვიპტისა, რუსეთისა და ინგლისისას — კი პამირი და დარდანელი. თუ პამირის შესახებ მორიგდნენ, რაც მოსალოდნელია ახლო მომავალში, მაშინ ინგლისი და რუსეთი სრუტეების საქმის გარდაწყვეტას შეუდგებიანო.

გაზეთის მეთაური წერილი ეთანხმება კორესპონდენტის აზრს და დასძენს, რომ ინგლისის გეოგრაფიული მდებარეობა, ცოტა არ იყოს, გამოურკვეველობასა ჰბადებს და დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას, რა განზრახვა აქვს ინგლისს. საფრანგეთში ინგლისის თავ-დაჭერილობის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ინგლისი ხშირად მხარს უჭერს საფრანგეთის მტრებსა და მეტოქეებსაო. გაზეთი დასძენს:

„როდესაც დარწმუნდნენ, რომ ინგლისის თავ-დაჭერილობა სწორედ რომ შეესაბამება იმ კეთილს სურვილებს, რომელიც ინგლისსა აქვს გულში საფრანგეთის მიმართ, ჰნახავენ, რომ ტყუილია, ვითომ ინგლისი ეჭვის თვალით უყურებდეს ამ სახელმწიფოს, როგორც ფრანგებსა ჰგონიათ, მაშინ ფრანგებს მიზეზი მიეცემათ თავისს შეხედულობა გამოიცვალონ და უფრო სამართლიანად და მშვიდად მოეკიდნონ ინგლისის პოლიტიკასაო. არავითარი არსებითი მიზეზი არა არსებობს, რომ კერძო მოლოდინი ამ დამეგობრებისა, რომელიც ეხლა ყველას ბაგეზედ აკერია და რომელსაც ყველას ყური შეეჩვია, მართლა არ განვითარდეს და საქმედ არ გადაიქცეს ერთის მხრით სამთა კავშირი და მეორეს მხრით რუს-ფრანგების სელშეკრულობა. სცდილობენ ევროპის მშვიდობიანობა დაიცვან და ეს გარემოება ბუნებრივად განამზადებს ნიადაგს, რათა განათლებულ დიდ სახელმწიფოთ უკეთესი მერმისი დაუდგეთ, სახელმწიფოთ, რომელნიც მიხვდებიან დიდს უგუნურებას ეხლანდელ დროში შეიარაღებულ ბრძოლისა. ორის სახელმწიფოს მეგობრობას ისეთი ხასიათი არ უნდა მივცეთ, ვითომც სხვა სახელმწიფოთა შორის მეგობრობა არ შეიძლებოდეს. ნამეტნავად დიდი გამოცნობა არ უნდა იმას, რომ ინგლისს, როგორც ქვეყნად მშვიდობიანობის დაცვის მოწადინე სახელმწიფოს, სხვა სახელმწიფოთა მიმართ უნდობლობა-კი არ აკერძოვებს და აცალკევებს, არამედ კეთილის სურვილით საკსე ნეიტრალიტეტი. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ ინგლისი ისე ჰმოქმედობს, რომ თუ სხვა სახელმწიფოებმაც იმას მიჰბაძეს, მაშინ ყოველი ერი მშვიდობიანად და კეთილად იცხოვრებს.

## უცხოეთი

—

**გერმანია.** მოგვყავს ზოგიერთი ადგილი კანცლერის პირველ საყურადღებო სიტყვიდგან. ახალის პროგრამმით ხელში არ გამოვდივარო, სთქვა კანცლერმა. ეს მხოლოდ შესაძლებელი იქმნებოდა მაშინ, მიმართულების გამოცვლა რომ მქონდეს სახეში. ეხლა-კი ეს აგრე არ არის მეტადრე, თუ მოვიგონებთ, რომ უმეტესი ნაწილი კანონ-პროექტებისა უკვე ჩემმა წინამოადგილემ შემოიტანა. მაგრამ ამითი მაინც იმისი თქმა არ მინდა, ვითომ ყველაფერში ჩემის წინა-მოადგილეს კვალს დავადგები. (ტაშის-კვრა მარჯვნივ) ესკია, საჭიროდა ვრაცხ განვაცხადო, რომ აწმყო მდგომარეობა ვალს გვადებს აღვასრულოთ ყველა ის, რასაც ხელშეკრულობანი გვავალებენ. საახალშენო პოლიტიკის შესახებ სთქვა კანცლერმა.

„როდესაც საახალშენო პოლიტიკას შეუდგა გერმანია, მაშინ იგი ეკონომიურის, ეროვნულისა და იდეალურის აზრითა ხელმძღვანელობდა. თუ გერმანიას სურს ქვეყანაზედ ჯეროვანი მნიშვნელობა ჰქონდეს, უნდა ეცადოს ახალშენების შეძენას. ორის წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა და ეს გაკეთებული ამტკიცებს, რომ ახალშენების შეძენას სხვათა შორის ჩვენის ერის სარგებლობა მოითხოვს. რაიც შეეხება ამ საქმის იდეალურ მხარეს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ გერმანიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სხვებთან ერთად ევროპის უდიდესი კულტურული მისსია აღასრულოს (ტაშის კვრა). მთავრობა ყოველ ნაირ ღონეს იღონებს საახალშენო პოლიტიკა გააძლიეროს, და ახალისებს კიდეც ის, რასაც უკვე მიაღწია ამ საქმეში.

რა მდგომარეობაშია ჩვენი საშინაო საქმენი? ჭეშმარიტად, რომ გერმანიის მეურნეობა (ყური უგდეთო! გაისმის მარჯვნივ) მუდმივ ბრძოლაშია უცხო ერთ მეურნეობასთან, მაგრამ მაინც ამ ათის წლის განმავლობაში მრეწველობისთვის მეტსა ჰზრუნავდნენ, ვიდრე მეურნეობისათვის (ჭეშმარიტიაო! გაისმის მარჯვნივ). კანონიერი მოთხოვნილება მეურნეებისა, რაღა თქმა უნდა, საჭიროა აღსრულდეს, მაგრამ ეს ადვილი არ არის, თუმცა-კი ყოველთვის ვეცდებით გავაადვილოთ ეს საქმე. მეორეს მხრით საჭიროა წესი ჩამოვარდეს სამუშაოს მძლეველთა და მუშებს შორის. დიდად საყურადღებო კანონ-პროექტია შემოტანილი — სახელდობრ დამატებანი იმ კანონებისა, რომელიც სასჯელთა დებულებას ეკუთვნის. რაც მნიშვნელობა აქვს ამ კანონ-პროექტს, ეს იქიდგანაცა სჩანს, რომ მან დიდად აალაპარაკა ყველანი. ყველა იმ აზრისა არის — საჭიროა ქვეყნის ცხოველი ძარღვი დაცულ იქნასო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამ აზრის მისაღწევად განსაკუთრებული კანონები გამოიცა. კარგი იყო თუ ცუდი ის კანონები, ამის გარჩევაში არ შევალ, ამას-კი ვიტყვი, რომ უარ-ჰყვეს ეს კანონები. ეხლა აზრადა გვაქვს სარწმუნოებისა და სახელმწიფო დედა-აზრნი განსაკუთრებულის კანონებით-კი არა, საერთო კანონ-მდებლობით დავიცვათ.

ჟურნალ-გაზეთობამ ერთი სამართალს მოკლებული აზრი წამოაყენა წინ, როდესაც სამოციან წლებში ჩემის მოქმედების გარჩევას შეუდგა. მას აქეთ ოცდა-ათი წელიწადი გავიდა და ნუ დავივიწყებთ, რომ ახლს დროებას ახალი საშუალებანიც შეჰფერის. ჩვენი დრო მოითხოვს, რომ ეკკლესია და სახელმწიფო ერთად, ხელიხელს ჩაჭიდულნი მიდიოდნენ, ეკკლესიისა და სახელმწიფოს წარმომადგენელებმა ხელი-ხელს მისცენ. (შუა დასი და კონსევატორები ტაშს უკრავენ). ჩემს მოღვაწეობას საკმაოდ დაგიმტკიცებთ, რომ ვეცდები ეკკლესიისა და სახელმწიფოს შორის

---

შენა.

ყმაწვილი აღელვდა, თვალები გაუბრწყინდა... წყნარად მოაშორებინა მელანიას სახეზედ მიფარებული ხელები.

ამ დროს გაიღო კარები. მამაც შემოვიდა.

— შვილებო, ჩემთან მოდით.

ის ჩამოჯდა დივანზედ, გადაშალა წიგნი და სიფრთხილით დაიწყო კითხვა, ხმას იდაბლებდა.

ავადმყოფს კი ფარდის უკან არ ესმოდა იმისი ხმა. დაიკრიბა მაგრად გულზედ ხელები და ცხარე ცრემლები სდიოდა ჩაცვივნულს ლოყებზედ.

— ღმერთო მოწყალეო! აი როგორა სჯიან ისინი, ვისთვისაც მთელს დღეს თავ-ჩაკიდული შრომაში ვატარებდი. აი რა მადლს უხდიან ყოველს ჩემს ზრუნვასა და შრომას...

ერთხელაც არ მოჰგონებიათ დედა ამ რამდენისამე კვირის განმავლობაში. პირ-იქით, ისინი თავიანთ თავს ძალიან საუცხოვოდა ჰგრძნობდნენ უიმისოდ, ბედნიერნიც-კი იქმნებოდნენ, რომ ყოველთვის ასე ყოფილიყო, როგორც ეხ ია. .

და ის-კი, დედა, ხელს უშლიდა, აბრკოლებდა იმათს ბედნიერებას...

„ოჰ, უმადურნი, უმადურნი!“

მაინც და მაინც, დიდის გულ-მტკივნეულობით უვლიდა მელანია ავადმყოფს... რა სიამოვნებით და ალერსით ფუსფუსებდა იმის მახლობლად!.. მას ხშირად ნათლად წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ დაღვრემილი, შემკრთალი სახე ქმრისა, როდესაც დაინახავდა იმის ნამტირალს თვალებს ერთად-ერთის შვილის გამო... ვინ იცის, იქმნება, თითონვე იყო დამნაშავე..

„მაგრამ, არა, უგუნურებააო, გაიფიქრა ავად-მყოფმა და ამოიოხრა: ყოველთვის კეთილი მინდოდა ამათთვის, სახლს ვუვლიდი, მოსამსახურის თანამდებობასაც-კი ვასრულებდი, რაა არის ყაირათით ფეხზედ დამეყენებინა ოჯახი და შავის დღისათვის გვქონოდა რამე“...

„და ამასთან შენ-კი უმთავრესი გავიწყდება, გავიწყდება, რომ შენ მარტო შენს თავზედა ჰფიქრობდი, შენს ფუფუნებაში იყავიო“, ეუბნებოდა მას რაღაც საიდუმლო ხმა..

მოაგონდა მთელი წარსული დღეები, გარიჟრაჟიდამვე დაწყებული... ჯერ ყავა არც-კი დაელიათ, რომ მაშინვე ალაგებას შეუდგებოდა ხოლმე, ჭურჭელსა და შაქარს განჯინაში შეჰკეტავდა, შემდეგ დაიწყებდა მტვრის წმენდასა და ბიჭების ლანძღვა-გინებას... თითოს მათგანს რატო ერთი ოცჯერ მაინც არ მოაცდენდა საქმიდგან, გაკაპასებული უხვდებოდა შინ დაბრუნებულს დაღალულს ქმარს; როგორც-კი მოჰხვდებოდათ, სახელდახელოდ ათავებდნენ სადილის ჭამას, და ხელახლად შეუდგებოდა წყევლა-გინებას სულ უბრალოდ, თუნდა პატარა ადგილიც რომ ენახა სუფრისა გასვრილ-გაჭუჭყიანებული, იატაკზედ რო ნაფეხური დამჩნევოდა, — ან პატარა ნაცარი რომ დაენახა ხალიჩაზედ, ბუხრიდგან გადმოცვივნული.

უსულდგმულო საგნები უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე სულდგმული.

მერე რა მწარე, ბოროტ და გესლიან სიტყვების თქმა იცოდა!.. ვინ მოსთვლის, რა გასაოცარის ხელოვნებით არ უშხამავდა სხვას მცირედს სიამოვნებასაც-კი, რომელიც თითონ არ მოსწონდა, რა ფართო მოედანს აძლევდა ყოველ თავისს სურვილს და რა ამპარტავნებით სთრგუნავდა სხვის ნება-სურვილს.

„დიაღ, დიაღ, შვილები მართალნი არიან, ათასჯერ მართალნი: ცუდი დედა ვიყავი, ცუდი.

გაძვალ-ტყავებული ხელები ძირს ჩამოუცვივდა მძიმედ.

„მსურს ჩემი შეცდომა გავასწორო, არ მინდა, რომ ოჯახს მეტ ზარგად გაუხდეო“, წაილუღლუღა ავადმყოფმა.

მაგრამ ამის აღსრულება ასე ადვილი როდი იყო... ციებამ კვლავ ღონივრად შეუკეთა და უძლურმა სხეულმა კვლავ დაუწყო ბრძოლა სიკვდილს რამდენისამე კვირით.

როდესაც ცოტა გამობრუნება დაიწყო, განათებული ფანჯრები უკვე უცხადებდა ავადმყოფს გაზაფხულის მოახლოებასა. გაზაფხულმავე დაჰბერა საბრალო დედაკაცის გულს, მოჰხვევდა ხოლმე თავისს გამხმარს ხელებს ქმარს კისერზე და ჩურჩულებდა:

— ცოტაც მოითმინე, საუნჯევ, მალე გაკეთდება და გაუმჯობესდება ყველაფერი, ყველანი ბედნიერნი ვიქმნებით, ყველანი...

და აასრულა კიდეც დანაპირევი, თუმცა-კი ეს ზოგჯერ სამძიმოდ ეჩვენებოდა, თითქმის შეუძლებლადაც. მაინც დასძლია თავისი საკუთარი „მე“ და თავისი თავ-მოყვარეობა ქმრისა და შვილების სიყვარულს ანაცვალა.

ნიკო ველის-ციხელი

მშვიდობიანობა ჩამოვაგდო. (ტაშს უკრავენ ისინივე).

## ბათუმი ომის დროს

„Недѣля-ში“ დაბეჭდილია ბათუმიდგან გამოგზავნილი წერილი. ამ წერილით ბათუმელი კორესპონდენტი აღნიშნავს იმ განსაცდელს, რომელიც ბათუმს მოელის, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა. ეს განსაცდელი იმაში მდგომარეობს, რომ ნავთ სადგურისა, ბატარეისა და სამხედრო გზების მახლობლად ორ პირად შემოკრულია სხვა-და-სხვა საზოგადოების ნავთის საწყობები და ქარხნები, ომი რომ ასტყდეს, მოწინაამდეგეთა ჯარი ხუთს წუთში გაჩნდება ბათუმის ნავთ-სადგურში და რაკი ნაპირას მოვა,

საკმარისია, რომ რამდენიმე ყუმბარა გადაისროლოს ქალაქში და თვალის დახამხამებაზედ აფეთქდება მილიონობით ფუთი ნავთი და ფიცრები, რომლებიც ნავთ-საწყობებში, ქარხნებში და ზღვის ნაპირებზედ ინახება.

ამ მასალის გაზიდვა საჭიროებისამებრ შეუძლებელია. ნავთის ზღვაში ჩაშვება, ხომ წარმოუდგენელია, რადგანაც, როგორც უკვე ცნობილია, ნავთს წყალშიაც ეკიდება ცეცხლი. ნავთის მიწაზედ დაღვრაც შეუძლებელია. ბათუმის ნიადაგი რომ ნავთით გავჟღინთოთ, გოლიათურ ლამპარს გავაკეთებდით. არც ხელად შეიძლება ნავთის გამოზიდვა. იმის გამოსაზიდავად სამასი ისეთი მატარებელი მოგვინდება, რომ თითოეულს მატარებელს 17,000 ნავთის ვაგონი უნდა ება

და აი ამ განსაცდელის თავიდგან ასაცილებლადაო, დასძენს ავტორი: საჭიროა ნავთის საწყობები და ქარხნები ქალაქის განაპირას იქმნას გადატანილი და სამხედრო ციხე-ბატარეიებს მოშორებულიო.

## ბიბლიოგრაფია

ჩვენ მოგვივიდა ახლად გამოცემული ქართველთა ამხანაგობისა—შევსებული და შესწორებული „სამზარეულო“. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 900 თავს საჭმელს, და ღირს 1 მ. 50 კ.

ეს წიგნი სწორედ რომ შესაფერი სადღესასწაულო საჩუქარი იქმნება ჩვენ მეოჯახე ქალებისათვის. ამ წიგნში სხვათა შორის ჩართულია ქართული საჭმელებიც. ამ ჟამად, როდესაც ქართული გემრიელი სუფრა ძნელადღა შეგხვდებათ და ძველებური ქართული მზარეულები სანთლით საძებარი შეიქმნენ, სასარგებლოა ისეთი წიგნის გამოცემა, სადაც მოთხრობილია, როგორ უნდა მომზადდეს ქართული საჭმელები, რომელნიც ჰიგიენისა და გემოვნების მხრით სახელ განთქმულნი არიან.

# დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო სპარსეთიდგან საგანგებოდ გამოგზავნილი ელჩები, რომლებიც ანიჩკოვის სასახლეში უმაღლესის კარის ეტლებით მოვიდნენ. სასახლეში დაუხვდნენ მინისტრი სახლთ-უხუცესი და სასახლის სხვა მოხელენი. პირველ მისაღებ დარბაზში საპატიო დარაჯები იდგნენ ლეიბგვარდიის, ურალის ყაზახთა ჯარისა. თითოეულს ელჩს გაკეთებული ჰქონდა ახლათ მიღებული რუსეთის ჯილდოები. სპარსეთის პრინცი მიწვეულ იქმნა ჟოლოს ფერ სასტუმროში, სადაც მიიღეს მათ უდიდებულესობათ; შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი გაბრძანდა მეორე მისაღებ დარბაზში, სადაც წარუდგენენ დანარჩენი ელჩები. ხელმწიფე იმპერატორს მიართვეს ნიშნები სპარსეთის ორდენისა „აკდა“ ხოლო ხელმწიფე იმპერატრიცას—მარგალიტის ყელსაბამი.

**სოფია.** ახალი სამინისტრო უკვე შესდგა. კაბინეტის მეთაურად ისევ სტოილოვია. ნაჩევიჩი, გეშოვი და პეტროვი თავისს თანამდებობაზედ დარჩნენ. სამინისტრომ კანონ-პროექტი წარადგინა საპოლიტიკო გადასახლებულთა პატიების შესახებ: ამ კანონ-პროექტის დედა-აზრი უკვე შეწყნარებულია.

11 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა ოსმალეთიდგან საგანგებოდ გაგზავნილი ელჩები, რომლებიც უმაღლეს კარის ეტლებით მივიდნენ ანიჩკოვის სასახლეში. ფუად-ფაშამ ხელმწიფე იმპერატორს გადასცა ორდენი „იმთიაზია“, ხოლო ხელმწიფე იმპერატრიცას—ორდენი „შეფაკატ“-ი.

**პარიზი.** სამხედრო სასამართლომ ერთხმად მიუსაჯა დრეიფუსს სიკვდილამდის ციხეში დაპატიმრება. ამ დრეიფუსს ჯაშუშობა ჰბრალდებოდა.


# განცხადებანი

გამოვიდა, დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებსა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული

კედლის კალენდარი

(4—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

С.ПЕТЕРБУРГСКОЙ ТЕХНО-ХИМИЧЕСКОЙ ЛАБОРАТОРІИ.

დუხი „საფო“
დუხი „ნევას „კაპრიზი“
დუხი „თეთრი მიუსკი„
ძალიან გამძლე და სასიამოვნო.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П.Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

წერა-კითხვის გამავრცელებელის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

ჩართული ანბანი

შედგენილი გრ. ტატიშვილის მიერ

ამ ანბანში მოქცეულია წყვილ-წყვილად ერთმანეთში ხელოვნურად და შნოიანად ჩართული ასოები, რომლებიც სახელისა და გვარის აღსანიშნავად შეიძლება ამოიჭრას ყოველნაირს ლითონის ნივთზედ (ოქროსა, ვერცხლსა, თითბერზედ და სხვ.) და ამოიკეროს.

გამოვიდა და ისყიდება თბილისში „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში, ყველა ქართულისწიგნის მაღაზიებში, ახალი წიგნი

✦ პირველი ტალღები ✦

მოთხრობა

დუტუ მეგრელისა

ივ. კილაძის და ვას. მასხულიას გამოცემა

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

სამზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

ფასი ჟურნალისა:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 5 მან. | | | 6 თვით „მწყემსი“ | 3 მან. | | |
| — „ ორივე გამოცემა | 6 „ | | | — „ ორივე გამოცემა | 4 „ | | |
| — „ რუსული „ | 3 „ | | | — „ რუსული „ | 2 „ | | |

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

1895 წლის „მწყემსი“-ს

ხელის მომწერლებს საჩუქრად დაურიგდებათ

შოთას და დავით აღმაშენებელის

მოზრდილი მხატვრობა

შოთას სურათს იანვრიდგან მიიღებენ ხელის-მომწერნი და დავით აღმაშენებელისას წლის ბოლოს

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით:
Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „Мцкемси“ и „Пастырь“

Открыта подписка на 1895 годъ

НА АРМЯНСКУЮ ГАЗЕТУ

„МШАКЪ“

(двадцать третій годъ изданія).

**Въ 1895 году „МШАКЪ“, газета политическая и литературная, какъ и въ прошлые годы, будетъ издаваться въ Тифлисѣ, по прежней программѣ.**

**Подписная цѣна** съ пересылкою и доставкою: на годъ—10 рублей; на 11 и 10 мѣсяцевъ—9 руб.; на 9 и 8 мѣсяцевъ—8 руб.; на 7 мѣсяцевъ—7 руб.; на полгода—6 руб.; на 5 мѣсяц.—5 руб.; на 4 мѣсяца—4 руб.; на 3 мѣсяца—3 руб.; на 2 мѣсяца—2 руб.; на одинъ мѣсяцъ—1 рубль.

**Подписка и объявленія принимаются въ Тифлисѣ,** въ конторѣ редакціи (уголъ Баронской и Базарн. ул.).

Объявленія принимаются на армянскомъ, русскомъ и иностранныхъ языкахъ. Цѣна за объявленія—2 к. со слова.

**Адресъ для всей имперіи: Тифлисъ, редакція „Мшакъ“.**

Адресъ для заграничныхъ подписчиковъ: Tiflis, Rédaction du journal arménien „Mschak“.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალ

„ჯეჯილი“

წელიწადი მეექვსე

გამოვა 1895 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პოგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან., ვინ 10ც ეგზემპლიარზედ მეტს დაიბარებს იმას დაეთმობა სამ სამ მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორში,—75 კაპ.,

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარიწლით, ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში“ და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Артиллер. у. д. Тамамшева, возлѣ кадет. корпуса.

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. დავიდოვთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძინს სააგენტოში.

5) თელავში—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

7) თიონეთში ივ. თ. ჩიბალაშვილთან.

8) ყვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.


Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Декабря 1894 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.